

სახალხო ბაზუქი

სურათებიანი ჟამბიანი
გაზეთის № 836
დაგასტების № 147
კვირა, 3 მარტი 1913 წ.

ახალი სიკვდილისა


17.*)

მსწრაფლ იგრძნო ელისბარმა, რომ სიყალბე შეიტანა თავის მოქმედებაში. დაიწყო თუ არა ლაპარაკი, მაშინვე მიხვდა, რომ იმას არ ამბობდა, რაც გულში ედგა. მის ნათქვამს არავითარი კავშირი არა ჰქონდა იმ მისწრაფებასთან, რომელიც ისე ძლიერად იზიდავდა მას ქალისაკენ: იმის მაგივრად, რომ სული გადაეშალნა სატრფოსათვის და შეჰვედრებოდა მას, როგორც ღვთაებას ცხოვრების მიმნიჭებელს; მის ნაცვლად, რომ წრფელად გაეცხადებინა ყოველივე, რაც მის არსებაში აღარ ეტეოდა, ზეგმირულად მკერდ გადაღვლილი დას-



ლიკატის საწვრთნო მანო განყოფილ

კომპოზიტორი
ნიკოლოზ სულხანიშვილი.



ალ. წუწუნავა.
სახ. სახლ. არსებულ ქართ. სექციის
რეჟისორი (ბენეფისის გამო).

დგომოდა მომავალს წინ, მან ეშმაკის ნაქედი ფარი აიფარა, დასდვა საცო გულსა თვისსა და კარი ძნელი გრძობათა თვისთა; მხოლოდ ენა ალაპარაკა, ცივი და ცბიერი ენა, რათა ბადეში გაეხვივნა ქალი, შეეჩვივნა იგი და არავითარი შიში აღარა ჰქონდა მისგან უარისა. დიად, დიდი წინდახედულობა გამოიჩინა, რომ მარცხი რამ არ დაჰმართოდა და არ გაწბილებულიყო ან არ შეჰლახოდა თავმოყვარება, დიდი სიფრთხილი.

— უნდა გეთქვა ყოველივე პირდაპირ, შე ლაჩარო ჩემო თავო, უნდა გელიარებინა შენი გრძობა მის წინაშე და მზა ყოფილიყავ მიგელო მისგან ან სიცოცხლე, ან სიკვდილი. ხო მზად იყავ შეგეწირა მისთვის თავი? მაშ მის მიერ გულში დასმულ დანას ისეთივე ღიმილით უნდა შეჰხვედროდი, როგორც მისგან ნასროლ თაიგულს. შენ კი ვერ გადაუხვიე ანგარიშის კვალს, წვრილანი რამ მოსაზრება წაიმძღვარე წინ და ისე მიეხალე შენს წმიდათა-წმიდას; არ წაიძრე ფერხიდან ხამლი მდაბალის თავმოყვარეობისა და ისე მიხვედ სიყვარულის ცეცხლთან დამწველთან; გინდოდა ანგარიშის ბადით შეგეპყრა სხივთაგან შეთხზილი ბედნიერება და მიიღე ცა სასყიდელი საფერი, მისაგე? ელი ღირსეული!—ჰყვედრიდა თავს ელისბარ.

ეხლა კი მიჰხვდა ელისბარ, რომ სხვის სურვილი თუ სიტყვა ამისთანა შემთხვევაში არ გამოდგება, თუნდ დედის ნათქვამი. საქმე შეუკვეთა ქალს სამუშაო, ფული შეაძლია!

მიანიქოს მას სიცოცხლე და ნეტარება, ან თავისივე ხელით განგმიროს მისგანვე დამწვარ-დაბუგული იგი გული.

— რატომ შენ კი არ მიუახლოვდი შენს ღვთაებას გულწრფელად და არ შეევედრე, თავს შემოეველო შენი სიცოცხლე, მიელო იგი მსხვერპლად ყოვლად დასაწველად და მით მოენიჭებინა შენთვის ბედნიერება? გეშინოდა განა უარყოფისა? ვერა გყვარებია სავსებით! შენი მდაბალი ბუნება ვერ შესწლომია იმ ზეგარდამო გრძობას, როდესაც ადამიანი უკვე მოუფიქრებლად, ანგარიშ მიუცემლად და მთლად უზრუნველად მისწრაფის სატრფოსკენ, რადგან მის გარეშე ცხოვრება აღარც შეუძლიან მას და ვეღარც შეუგვნია.

აკი იგრძნო კიდევ ქალმა რაღაცა სხვა სარჩული ვაჟის სიტყვებში და იწყინა; ცხადად გამოკრთა მის ნათელ თვალებში იგი მისადმი უნდობლობა და აღელდა ქალი, გაწყრა.

სისუსტე რამ იგრძნო ელისბარმა მთელ ტანში, მუხლი მოეკვეთა, მთლად მოიშალა სახსრებში, მოიღვედა და იქვე დაეშვა მიწაზე. დიდ ხანს იჯდა იგი ღონე მიხდილი, მკლავებ ჩამოყრილი. ყოველივე აზრი გამოამქრალიყო მის მიდუნებულ გონებაში, გული დასცარიელებიყო და გამოჰფიტოდა, მის თვალთაგან მიხრწნილი სიცოცხლე-და გამოიშორებოდა უაზროდ, გრძობას თუ რაიმე მისწრაფებას მოკლებული.

18.
კარგა ხანს იჯდა ელისბარ ესე მოშვებული და უსიცოცხლო, მერე შეინძრა ძლიერად, სასტიკი რამ ტკივილი აღებეჭდა სახეზე, დაღრიჯა ამ ტკივილმა ვაჟ-კაცი, დაამტკრი-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 146.

ვა. იტაცა მან ხელი უხვად გადაშლილ ქორხრზე, ძალუმად დასწია იგი და ზე წამოიჭრა.

— ვაჰ, სარცხვილო და გაწბილებავ! იქნებ იფიქრა ი ქალმა, რომ შორიდან ალერს-არშოიობით და აწ ჩემის საკვირველის წინადადებით მხოლოდ ცთუნება მეწადა მისი, მოტყუება! სწორედ ეს იფიქრა მან და იმიტომ გაიკვირვა, კიდევ იწყინა ჩემი სიტყვა. სხვა რაღა უნდა ეფიქრანა? ავედევნე კაცი, ვეალერსე შორიდან, შემთხვევით ვისარგებლე და გავეცანი, გავიგე მისი ხელობა და ბოლოს ქირა შევადლიე უხვი, რომ ევლო მას ჩემ სახლში ვითომ და როგორც მხოლოდ მასწავლებელს. ნეტა საიდან ვიცოდი, რომ ის საუკეთესო ოსტატი იყო ან ვინ მითხრა ეს?!

ეს ბნელი ეჭვი გველივით შემოგხვია ქაბუკის გონებას, მოწყრა მისი გული და დაჰკრა მას ისარი გესლიანი. მთლად მოშხამა არსება მისი. ველარ შეიძლება ამაზე მეტი გათახსირება ქაბუკისა: ის ყოველთვის ზნეობითი სიფაქიზეს ეტრფოდა, მას ზნეობითი სიმშვენივრე მიაჩნდა იმ უდიდეს ძალად, რომელიც უნდა ამოძრავებდეს ადამიანის მოქმედებას და რომელიც თვითონვე უნდა იყო მიზანი ადამიანის ყოველგვარ მოქმედებისა; კაცი ყოველთვის თავის ნაბიჯს ზნეობრივი სიმშვენიერის საზომით ზომავდა, ეხლა კი მოულოდნელად და დაუმსახურებლად ჩაირიცხა თვით იგი იმისთანა გათახსირებულ გვაშთა შორის, რომელთაც სხვათა პიროვნობის პატივცემბე ჩირად დაუსახავთ და სხვათა არსების შელახვაზე თუ შემწიკვლაზე აუგიათ გოდოლი თავიანთ სიამოვნებისა და ნეტარებისა. მემრე ვის თვალში შეირაცხა იგი ესეთად? ისეთ ქმნილების თვალში, რომელიც პირველსავე ნახვაში შეიქმნა მისი სულისდგმა, რომელიც მთელ ქვეყანას ურჩევნია, რომლის პიროვნობაში შენივთებულია ქაბუკისათვის მთელი სამყარო! როგორ შეიძლება ესეთი უსამართლობა?! მხოლოდ შემთხვევით მიიღო ვაჟის ქცევამ ესეთი საზიზღარი სახე, თორემ იგი მისი ქცევა და მისწრაფება ანკარა იყო, როგორც ცვარი დილისა, გამჰვირვალე და ნათელი, როგორც სხივი ვარსკვლავისა.

— წავალ, ეხლავე მივიჭრები ჩემ ლიზიკოსთან, მუხლმოვიდრეკ მის წინაშე, გადაუშლი მას ჩემ სულის კვეთებას, ვაჩვენებ ჩემ სურვილთა უბიწოობას და იმ ცეცხლს ჯოჯოხეთურს, რომელიც ტრიალებს ეხლა ჩემს გულში, მთელ ჩემ არსებაში!

მაგრამ როგორღა შეიძლება ეხლა ეს?! აღარავითარი უფლება არა ჰქონდა მისულოყო იმ თითქმის უცნობ ქალთან და შეეშფოთებინა მისი ყოფა. აღარც დაუჯერებდა ეხლა მას სხვა რამ თქმას, ეხლა ყველა მის მოქმედებას თუ სიტყვას ექვის თვალთ შეჰხედავდა და მის პირიდან ამოსული თვით ქეშმარიტებაც სიყალბის სახეს მიიღებდა ქალის თვალში. ან რა პირით-ღა უნდა წარსდგეს ელისბარ და ეჩვენოს ესრედ შემწიკვლული და დამდაბლებული?! შველა აღარ შეიძლება ეხლა, სამუდამოდ ჩაიშალა საქმე და განქრა მისთვის ჩვენება ქრელი, გულის წარმტაცია.

— აღარ შეიძლება სიცოცხლე! როგორ-ღა შეიძლება ცხოვრება, როდესაც ჩაქნა ჩემი გული და შეიმუხრა?! და ჩავარდა ვაჟი ამოუსვლელ ხნარცში? სულიერის იწროებისა, მოესპო მას ყოველივე სიმშვიდე. ამ დღიდან ველარაფერმა ვერ მიიზიდა ქაბუკი, ცხოვრების ვერც ერთმა მოვლენამ ველარ შეაჩერა თავისზე მისი ყურადღება თუნდ ერთს

წამს. უაზრო შეიქმნა მის თვალში ყოველივე საქმე და მოქმედება; დაანება თავი ყოველსავე საოჯახო ზრუნვას. შეეზარა კაცთა ნახვაც, ადამიანის ხმა ყურს უსერავდა უსიამოვნოდ. ვერც შინ, ვერც გარედ, ვერც ტყეში, ვერც ველად ველარ პოულობდა ადგილს თუნდ წუთიერად განსასვენებელს. ძილიც წართვა ქაბუკს მუდმივმა ღელვამ, მოალა იგი მოუსვენრობამ. მოიქანცა, შეიშალა სახიდან: დაუდგომლობა აღებეჭდა თვალგზში და სევდა სასტიკი. იცოდა რომ იგი ტანჯვა მისი მოსჩანდა მის თვალებიდან და ცდილობდა თვალის აერიდებინა ყველასათვის. ველარ შესწევდა ძალა თუნდ წუთიერად შეემარებინა თავი და სხვა რამ იერი მიეცა თვის თვალთამეტყველებისათვის. ერიდებოდა ყველას, იკრძალებოდა, უქაცურ ადგილს ეძებდა ტყეში თუ ველში, მთაში თუ წყლის პირს, მაგრამ აქაც ველარ ჰპოვებდა თუნდ წამიერ სიმშვიდეს: მის საყვარელ ბუნებასაც პირი მოერიდებინა მისთვის და დაეფარა მისგან თვისი სიმშვენიერე თუ სიტკბო. აქაც ველარაფერი იზიდავდა ტანჯულს, აღარავინ იზიარებდა მის სევდას, აქაც ისევე მარტორჩებოდა იგი თვის კაეშანთან პირისპირ და იგივე გველი მგესლავი სწურავდა მის გულს საბრალოს.

მეფეთა გვირგვინები!



გვირგვინი საქართველოს მეფეთა.



გვირგვინი ოლდენბურგის დიდ-პერცოვთა.



გვირგვინი პოლონეთის მეფეთა.



გვირგვინი ფილოზოფის დიდ-მთას.



გვირგვინი რუსეთის მეფეთა.


19.

ძალიან შეაფიქრა ელისბარის დედ-მამა შეილის ამისთანა ცხოვრებით და თხოვნილობა. ჰკითხავდნენ მიწვევრი ამღვრეული გრძობა გვრამ ვერაფერზედა მას და მხოლოდ წუთიერად მას და მხოლოდ წუთიერად არის აქ დასაძრახისი ან ქალი რომ მალამო მოაღებელი?! ლიზიკო თითონაც ხომ აღებული სუხილვაზე, თითონაც ხომ მოელდნენ, ვაჟს სევდოლოდა, მის ამ დაჰსობოდა მას მხოლოდ ვაჟის ქცევას რად დნენ, დაღონ-ტყუნებს მხოლოდ მას. იიცვა იგინი. მე მეტი ვიფიქრე, სინამ საფიქრ იყო: ეს ერე მეტი მაგრძობინა, რაცა ჰხამამოერიათ ქამსრივ მეტმა სურვილმა ან მისხად-ერთი მემოდ ჩემს გამოუცდებლობას უნო მათ იმედად ღოდინრობას, ჩემს დაქარბებულსეც თუ აღარ ლოთიანბას. თიქრობდა ქალად უნდათ ან ცხოვრება, ან სიცოცხლე? ვისლა უნდა დარჩეს მათი ქონება, ან ვინ უნდა განაგრძოს მათი გვარი?

— მითხარ, შვილო, რა გაწუხებს ან რამ დაგიჩაგრა გული ეგრე უწყალოდ, ისეთი რა ავი საქმე წაგეკიდა, რომ ვერ შევეძლოთ მისი მოგვარება და მოხერხება. იცი, ბიჭო, საკმაო თანხა მაქვს მიგდებული და ხელთა გვაქვს ვძლიოთ ყოველივე დაბრკოლება, ოღონდ კი მითხარ ერთი, რა გაწუხებს და გამაგონე.

— გმადლობ, მამი! ჩემ საქმეში ფული უძლეურია. შენ დარწმუნებული ხარ ფული უძლეველ ძალაში, მაგრამ არის ცხოვრებაში ისეთი შემთხვევაც როცა სიმდიდრე ველარა სჭრის. ჩემი საქმე სწორედ ესეთია. ვერც გეტყვი ჩემს დარდს: იგი საკუთრად მე შემეხება და შეუძლებელია მისი გამყლავნება.

იქნება კარგი ყოფილიყო, რომ ეთქვა ელისბარს თავისი ვარამი, რადგან გამოთქპული ქირი ჰკარგავს სისასტიკეს, სიტყვას თან ამოსდევს ბოლბის ქარები. ესეც არ იყოს, სხვას შველაც შეუძლიან ზოგიერთ შემთხვევაში, რადგან გული დინჯად და მოზომით შეუძლიან საქმის მოაზრება და მოგვარება; თითონ ტანჯულის გონება კი შებოქილია ურვით, ხოლო მისი მოქმედა ნება მოდუნებული და მოშვებული. მაგრამ რა ქმნას ქირისუფალმა, როცა ზოგი ქირის გამოთქმა და გამოშვლავნება შეუძლებელია, როდესაც ბევრ დარდს პირადი ხასიათი აქვს და სხვას არ ძალუქს შეიგნოს იგი მთელის მისი სილიადით. ელისბარის დარდი სწორედ ესეთი იყო და აბა როგორ გაანდობდა მას თუნდ მოსიყვარულე მამას. ჩაუჯუბდა



ჭაბუკს გამოუთქმელი დარდი და ტეხვა დაუწყო, დასძლია, დაიძონა. იქნება ცოტად მაინც ჰფონებოდა მას, რომ სადმე კიდევ მოეკრა თვალი ი ქალისათვის, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, კვირამ კვირაზე გადადო თავი, იმან კი ქალის აჩრდილსაც ვეღარ მოჰკრა თვალი.

ლიზიკო კი ისევ იქ იყო, ჯერ არსად წასულიყო, თუმცა ზაფხულის არდადეგები კი მიიწურა და მოაგარაკენი შიგა და შიგ კიდევ დაიძრნენ ქალაქებისკენ. ორი-სამი კვირაცა და ყველანი გაიკრიბებიან თავიანთ მუდმივ ბინებზე, აწ აქი-ქინებული დაბას მოიცვავს მოსაწყენი მდუმარება და იწყებს დენას ერთფერი ცხოვრება მდორე. ქალი ისევ იქ იყო, დარდი ცოტაოდნად გადაჰყროდა გულიდან, გამოდიოდა სასიერნოდ, ნაცნობებშიაც დადიოდა, მაგრამ მისი ნაცნობები ელის-

თვისსავე ოცნებას, ვერ იცნო ვაჟის გული და იქ გულგულად სიყვარული, სადა იგი არა იყო სიყვარული, სადაც არ იყო არავითარი გრძობა, გააღდა მამაკაცის საზოგადო ლტოლვილებისა მდებდრთადმი.

ლიზიკო მაინც ეხლა უფრო დამშვიდებული იყო, დაწყნარებული. ვაჟის არშეყობას და მისადმი ლტოლვილებას განსაზღვრილი უზნეო მიზნით აღარა ჰსწინდა იგი ეხლა. იქნება ვაჟს არავითარი უზნეო აზრი არა ჰქონდა გულში, არცა სცილილობდა რაიმე ხიფათი შეემთხვია მისთვის. ხომ არც ერხელ არ გადასცილებია ის ფარგალს ზრდილობისა და სამზღვარს პატივცემისა, ყოველთვის ფაქიზი იყო მისი ქცევა, შეუმღვრელი. ბოლოსაც მხოლოდ მოკრძალებით მოახსენა სათქმელი, რომ მიიწვია ნასწავლებლად; ამისთანა თხოვნას

გოგის სინდიკატი




სინდიკატის საწვრთლ მანო განყოფილება.



სინდიკატის საფართოლე განყოფილება.



სინდიკატის შენობა.



სინდიკატის ბელელი.

ბარის ოჯახის კბილისანი არ იყვნენ, რომ ვაჟი სადმე შეჭხვედროდა ქალს; საზოგადო გასართობებში კი აღარ გაიარა ქალმა, იქ არ შემხვდესო ახალგაზდა. რა იცოდა ლიზიკომ, რომ ვაჟს იგი ვერ შეჭხვდებოდა ვერც სახლებში, ვერც საზოგადო შესაკრებლებში: მას აღარა სცხელოდა არც ნაცნობებისთვის, არც საზოგადოებისთვის, მას მოსძულებოდა თავისი თავი, გასჭირებოდა ყოფა და არ იცოდა რა ექმნა ან რა წყალში გადავარდნილიყო. გატანჯული ჭაბუკი ერთხელ-ორჯერ კიდევ აჰყვა ნაჩვევ ბილიკს, მაგრამ ამოდ: ქალს ეხლა სულ სხვა კუთხე ამოერჩივნა სასიერნოდ, რადგან სრულებითაც აღარა ჰსურდა შეჭხვედროდა იმ უცნობს. ლიზიკოს ეხლა სცხვენოდა იმ თავის აღტაცებულ ოცნებისა, რომელიც ისე ბავშურად დაისახა მაშინ ვაჟს შესახებ და რომლის მოლოდინში ისე მწარედ მოსტყუვდა, სამარცხვინოდ. ეხლაც აღმური აჰკრავდა ხოლმე სახეზე, როცა მოაგონდებოდა ის წუთი. ვერ ეპატიებინა თავის თავისთვის, რომ ისე დაემონა

სხვა მის ხელობის ქალები სიხარულით მოისმენდნენ და მადლობით მიიღებდნენ.

— და თუ მეწყინა მაშინ მისი თხოვნა, მხოლოდ მისთვის, რომ სრულებით სხვას მოველოდლი ჩემივე აღტაცებული ოცნებით გატაცებული, რა შუაშია აქ ი საწყალი ვაჟი ან რა დანაშაული მიუძღვის ჩემ წინაშე?!

სრულებით არაფერი! და სწორედ უხერხულად მოიქცა ლიზიკო, რომ მკაცრად უთხრა მაშინ უარი და ნაწყენივით გაშორდა მას. რას იტყოდა კაცი ან რას იფიქრებდა?! უნდა გონებას დასწყნარებოდა, მადლობა ეთქვა: დინჯად ემცნო თვისი უარი და ისე განშორებოდა. საჭირო კი იყო მოსპობა იმ უცნაურის ურთიერთობისა, უნდა ამოკვეთილიყო იგი ტრფობის მაგვარი რაღაცა ქცევა. აკი გათავდა კიდევ მათი საკვირველი ნაცნობობა და ჩასწყდა მათ შორის გაბმული საიდუმლო ქსელი.

— მაგრამ, ახ, რა ფერადი იყო და თვალთ წარმტაცი იგი ზღაპრული კავშირი ჩვენი, რა ტკბილი გრძობები აღძრა

